

**ხელშეკრულება**  
**"SILK LTE 4G სახლისთვის" მომსახურების შესახებ**

აბონენტის გვარი, სახელი \_\_\_\_\_

დაბადების თარიღი \_\_\_\_\_ პირადი N \_\_\_\_\_

რეგისტრაციის მისამართი \_\_\_\_\_

ფაქტიური მისამართი \_\_\_\_\_

ელ.ფოსტა/საკონტაქტო ნომერი/მიზილური \_\_\_\_\_

ინტერნეტ-პაკეტი	SILVER	PLATINUM
პაკეტის ღირებულება	28	38
სიჩქარე	15 მბ	50 მბ

აბონენტის მიერ შერჩეული ვიპ სატელეფონო ნომერი \_\_\_\_\_

პირადი ანგარიშის ნომერი \_\_\_\_\_

აბონენტის პერსონალური კოდი \_\_\_\_\_

**აბონენტი ადასტურებს, რომ მას გადაეცა ხელშეკრულება მისი დანართებითურთ(დანართი N1- „სტარტო გეგმა“ და დანართი N2 „ძირითადი წესები და პირობები“).**

/თარიღი / \_\_\_\_\_ წ.

თუ წინამდებარე ხელშეკრულებას „აბონენტი“ მაგივრად ხელს აწერს აღნიშნულ მისამართზე მყოფი სხვა პირი, ნიშნავს, რომ ამ პირს გააჩნია სრული უფლებამოსილება „აბონენტისაგან“ ამ ხელშეკრულების ხელმოწერაზე. აღნიშნულ შემთხვევაში, მიეთითება ამ პირის: სახელი და გვარი \_\_\_\_\_ პირადი # \_\_\_\_\_

**ხელშეკრულების ამ გვერდზე აღნიშნული ყველა ველი სავალდებულოა შესავსებად**

- წინამდებარე ხელშეკრულება (შემდგომში „ხელშეკრულება“) ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს უვადოდ, „მხარეთა“ მიერ მის შეწყვეტამდე “ძირითადი წესების და პირობების” შესაბამისად. „აბონენტი“, „ხელშეკრულების“ ცალმხრივად შეწყვეტის სურვილის შემთხვევაში, ვალდებულია წერილობით მიმართოს „კომპანიის“ ნებისმიერ სერვის ცენტრს და მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა “ძირითადი წესების და პირობების” შესაბამისად. ამასთან, „აბონენტი“ ვალდებულია, ჯეროვნად დაფაროს „ხელშეკრულების“ შეწყვეტის დღისათვის „კომპანიის“ წინაშე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული მომსახურების შედეგად წარმოქმნილი ნებისმიერი გადასახდელი თანხა თუ დავალიანება.
- „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული მომსახურებ(ებ)ის გააქტიურება მოხდება „ხელშეკრულების“ ხელმოწერის დღიდან.
- „აბონენტის“ მიერ „მომსახურების ღირებულების“ გადახდა ხორციელდება „ხელშეკრულების“ დანართი #1 შესაბამისად.
- „აბონენტი“ უფლებამოსილია მიიღოს დადგენილი ხარისხის „მომსახურება“ და ვალდებულია დროულად და სრულად გადაიხადოს „მომსახურების ღირებულება“ ხოლო „კომპანია“ ვალდებულია მიაწოდოს „აბონენტს“ დადგენილი ხარისხის „მომსახურება“.
- „ხელშეკრულებაზე“ ხელმოწერით „აბონენტი“ თანახმაა მის სახელზე დარეგისტრირდეს/გაფორმდეს ამ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული „მომსახურება“. „აბონენტი“, ასევე აცხადებს, რომ მას გააჩნია კანონიერი უფლებამოსილება (ნებართვა/თანხმობა), რაც აუცილებელია ამგვარი „მომსახურების“ მის სახელზე მისაღებად.
- „ხელშეკრულება“ რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- „ძირითადი წესები და პირობები“ თან ერთვის ამ ხელშეკრულებას (დანართი #2) და წარმოადგენს ამ „ხელშეკრულების“ განუყოფელ ნაწილს, რომელიც ასევე განთავსებულია „კომპანიის“ ვებ-გვერდზე: [WWW.SILKNET.COM](http://WWW.SILKNET.COM)
- „აბონენტი“ ადასტურებს, რომ „ხელშეკრულებაზე“ იგი ხელს აწერს ნებაყოფლობით და გააზრებული აქვს როგორც „ხელშეკრულების“, ასევე „ძირითადი წესების და პირობების“ ყველა პირობა და დებულება.
- „ხელშეკრულება“ მასში განსაზღვრული უფლება-მოვალეობებით ვრცელდება და სავალდებულოა „მხარეთა“ უფლებამონაცვლელებისა თუ მემკვიდრეებისათვის/სამართალმემკვიდრეებისათვის.
- „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „მომსახურების“ გარდა სხვა დამატებითი მომსახურება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენილი იქნება დანართის სახით.
- ყველა პირობა, მხარეთა უფლება-მოვალეობანი და სხვა დებულებები, რაც არ არის გათვალისწინებული „ხელშეკრულებით“, რეგულირდება „ძირითადი წესებით და პირობებით“;
- „აბონენტი“ „ხელშეკრულებაზე“ ხელმოწერით ადასტურებს, რომ იგი გაეცნო საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 17.03.2006წ. #3 დადგენილების „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტს“.
- „აბონენტისთვის“ მოწყობილობების გადაცემა (აქტივირებული SIM ბარათით) ხდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
- იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი შეიცვლის ზემოაღნიშნულ რომელიმე რეკვიზიტს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს „კომპანიას“ ამ ცვლილების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, „კომპანია“ იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას მისთვის ცნობილ „აბონენტის“ შესაბამის მისამართზე გაგზავნილი შეტყობინების შედეგად შესაძლოდ წარმოშობილ ნებისმიერი სახის ზიანსა თუ ზარალზე.
- აბონენტს შეუძლია, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გადასახდელი ნებისმიერი თანხის გადახდა უნაღდო ანგარიშსწორების გზით - „ფვი ბოქსისა“ და ინტერნეტ გადახდების საშუალებით.
- ხელშეკრულებაში მოცემულია როგორც Silk LTE 4G სახლის უსადენო ინტერნეტ-მომსახურების, ისე Silk LTE 4G Voip სატელეფონო მომსახურების პირობები და სტარტო გეგმა, მიუხედავად იმისა აბონენტი ირჩევს ერთ თუ ორივე სახის მომსახურებას. შესაბამისად, აბონენტის მიერ არჩეული მომსახურება და პაკეტი მითითებულია ხელშეკრულების თავსართში.
- ძირითადი და დამატებითი მომსახურების სახეების, ტარიფების, მომსახურების შეზღუდვის/აღდგენის/შეწყვეტის და სხვა პირობების შესახებ ინფორმაციას აბონენტი დამატებით შეიძლება გაეცნოს ვებ-გვერდზე: [WWW.SILKNET.COM](http://WWW.SILKNET.COM) /ნა/და სატელეფონო ცხელ ხაზზე: 2 100 100.

„სილკნეტის“ წარმომადგენელი (სახელი და გვარი გარკვევით) \_\_\_\_\_ „აბონენტი“ \_\_\_\_\_



**დანართი 1. სატარიფო გეგმა და განსაკუთრებული პირობები**
**Silk LTE 4G მომსახურების (უსადენო ინტერნეტი) სატარიფო გეგმა**

Silk LTE 4G მომსახურების (უსადენო ინტერნეტი) "ძირითადი პაკეტები"	Silver	Platinum
"ძირითადი ინტერნეტ-პაკეტების" ღირებულება	<b>28 ლარი</b>	<b>38 ლარი</b>
სიჩქარე (ჩამოტვირთვა/ატვირთვა)	158მ/წ-მდე / 58მ/წ-მდე	508მ/წ-მდე / 58მ/წ-მდე
მოცულობა	30 გბ	50 გბ
სიჩქარე მოცულობის ამოწურვის შემდეგ (ჩამოტვირთვა/ატვირთვა)	18მ/წ-მდე / 256კბ/წმ-მდე	28მ/წ-მდე / 256კბ/წმ-მდე
პაკეტის მოქმედების ვადა	30 დღე	
"დამატებითი 10 გბ პაკეტის" ღირებულება	<b>5 ლარი</b>	
<b>მომსახურების აქტივაცია</b>	<b>ღირებულება</b>	
LTE WiFi მოწყობილობის შემთხვევაში მომსახურების აქტივაციისთვის გადასახდელი ჯამური თანხა (რომელიც მოიცავს) :	<b>49 ლარი</b>	
LTE WiFi მოწყობილობის ღირებულებას	16 ლარი	
SIM ბარათის აქტივაციის ღირებულებას	5 ლარი	
პაკეტი "Silver"-ის ღირებულებას	28 ლარი	
LTE USB მოწყობილობის შემთხვევაში მომსახურების აქტივაციისთვის გადასახდელი ჯამური თანხა (რომელიც მოიცავს) :	<b>39 ლარი</b>	
LTE USB მოწყობილობის ღირებულებას	34 ლარი	
SIM ბარათის აქტივაციის ღირებულებას	5 ლარი	
<b>ტექნიკური მხარდაჭერის ხარჯები</b>	<b>ღირებულება</b>	
ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურება	20 ლარი	
მომსახურების დამატებითი ღირებულება ყოველ 1 მეტრ კაბელის ქსელზე	0.80 ლარი	
<b>აქტივაციის დამატებითი ხარჯები</b>	<b>ღირებულება</b>	
SIM ბარათის აღდგენა/ხელახალი აქტივაცია	5 ლარი	
მომსახურების ხელახალი აქტივაციის (აღდგენის) ღირებულება	10 ლარი	
<b>მოწყობილობათა ღირებულება მათი მეორე და ყოველი მომდევნო შექმენისას</b>	<b>ღირებულება</b>	
LTE WiFi მოწყობილობის ღირებულება (ხელშეკრულების გაფორმებისას შეძენის შემდგომ, ამავე ხელშეკრულების ფარგლებში, მოწყობილობის მეორე და ყოველი მომდევნო შექმენისას)	44 ლარი	
LTE USB მოწყობილობის ღირებულება (ხელშეკრულების გაფორმებისას შეძენის შემდგომ, ამავე ხელშეკრულების ფარგლებში, მოწყობილობის მეორე და ყოველი მომდევნო შექმენისას)	34 ლარი	

**შენიშვნა:**

- ფასი მოიცავს დღე-ს
- მოწყობილობები გადადის აბონენტის საკუთრებაში

**Silk LTE 4G მომსახურების (უსადენო ინტერნეტი) ღირებულების გადახდის, მომსახურების შეზღუდვის, შეწყვეტის და აღდგენის პირობები:**

- **გადახდის პირობა:**
- წინასწარი გადახდა. აბონენტი იხდის მის მიერ წინასწარ შერჩეული ინტერნეტ-პაკეტის სრულ ღირებულებას.
- აღნიშნული გადახდით აბონენტი ახდენს ინტერნეტ-პაკეტით გათვალისწინებული მოცულობის მგ-ის წინასწარ შეძენას. შესაბამისად, ინტერნეტ-პაკეტის ღირებულების ანგარიშიდან ჩამოჭრა ხდება ერთჯერადად. პაკეტის გააქტივებისთანავე;
- მომსახურების რეგისტრაციისას ერთჯერადად გადასახდელი თანხა მოიცავს LTE WiFi /USB მოწყობილობის ღირებულებას, SIM ბარათის აქტივაციის ღირებულებას და "პაკეტი Silver"-ის ერთჯერად აქტივაციის ღირებულებას;
- ერთ აბონენტს შეუძლია არაუმეტეს 5 "Silk LTE 4G სახლისთვის" მომსახურების მიღება;
- ანგარიშზე Silk LTE 4G ინტერნეტ-მომსახურების და Silk LTE 4G VOIP მომსახურების არსებობის შემთხვევაში გადახდელი თანხიდან პირველ რიგში ივარდება ინტერნეტ-მომსახურების ღირებულება.

**მომსახურების აქტივაცია:**

- თუ აბონენტი ვერ მოახდენს LTE WiFi მოწყობილობის დამოუკიდებლად ინსტალაციას, მას შეუძლია ისარგებლოს "ტექნიკური ჯგუფის" ადგილზე მომსახურებით, სატარიფო ცხრილში მითითებული ღირებულების გადახდის პირობით;
- "ტექნიკური ჯგუფის" მომსახურების ღირებულების დარიცხვა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ "ტექნიკური ჯგუფი" წარმატებით უზრუნველყოფს მომსახურებას.
- "ტექნიკური ჯგუფის" მომსახურების ღირებულების დარიცხვა აბონენტის ანგარიშზე მოხდება ვიზიტის დღესვე და გაიხარჯება ანგარიშზე არსებული დადებითი ბალანსიდან. ვიზიტის დღეს საკმარისი დადებითი ბალანსის არარსებობის შემთხვევაში აბონენტს შეუზღუდება ამავე ანგარიშზე არსებული Silk LTE 4G VOIP სატელეფონო მომსახურება (ასეთის არსებობისას) და მისი აღდგენა შესაძლებელი იქნება დავალიანების დაფარვის შემთხვევაში. ასეთი დავალიანების ანგარიშიდან გახარჯვა მოხდება აბონენტის მიერ ტექნიკური მომსახურების მიღების შემდეგ ანგარიშზე შეტანილი ნებისმიერი (მათ შორის ახალი პაკეტის აქტივაციის მიზნით) თანხიდან, საიდანაც მიუხედავად გადახდის მიზნობრიობისა, პირველ რიგში დაიფარება "ტექნიკური ჯგუფის" მომსახურების ღირებულება.

- ინტერნეტ-პაკეტის აქტივაცია, დამატება, ცვლილება, მოქმედების ვადა:**
- აბონენტს შესაძლებლობა აქვს გააქტიუროს "ძირითადი" და "დამატებითი" ინტერნეტ-პაკეტები, როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთობლივად.
- სატარები ცხრილი მითითებული ინტერნეტ-პაკეტებიდან აბონენტისთვის ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის "ძირითადი" ის ინტერნეტ-პაკეტი, რომელიც ყოველი კონკრეტული მომენტისთვის არჩეული/გააქტიურებული აქვს ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე ან შემდგომ, უკანასკნელი დისტანციური გააქტიურებით ან სერვისცენტრში უკანასკნელი მიმართვის/შეცვლის გზით.
- ინტერნეტ-პაკეტში შემავალი მოცულობის გზ-ბმის გამოყენება აბონენტს შეუძლია კონკრეტული ინტერნეტ-პაკეტის გააქტიურებიდან **30 (ოცდაათი) დღის** განმავლობაში;
- ძირითადი ინტერნეტ-პაკეტის გააქტიურებიდან **30 (ოცდაათი) დღის** განმავლობაში **დღის ამოწურვის შემდეგ**, მომსახურების ანგარიშზე ძირითადი ინტერნეტ-პაკეტის ღირებულების შესაბამისი თანხის არსებობის შემთხვევაში ავტომატურად გააქტიურდება ახალი ძირითადი ინტერნეტ-პაკეტი;
- ძირითადი ინტერნეტ-პაკეტის გააქტიურებიდან **30 (ოცდაათი) დღის ამოწურვის შემდეგ**, მომსახურების ანგარიშზე ინტერნეტ-პაკეტის შემოსავლის არასაკმარისი თანხის არსებობის შემთხვევაში, მომსახურების ძირითადი ინტერნეტ-პაკეტი ავტომატურად გააქტიურდება მომსახურების ანგარიშზე ძირითადი ინტერნეტ-პაკეტის ღირებულების ოდენობით დადებითი ბალანსის შევსებისას;
- ძირითადი ინტერნეტ-პაკეტის გააქტიურებიდან **30 (ოცდაათი) დღის ამოწურვამდე** მომსახურების ანგარიშზე ძირითადი ინტერნეტ-პაკეტის ღირებულების შესაბამისი თანხის შეტანის შემთხვევაში, აბონენტს ახალი ძირითადი ინტერნეტ-პაკეტი ავტომატურად გააქტიურდება აქტიური ინტერნეტ-პაკეტის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ;
- ძირითადი აქტიური ინტერნეტ-პაკეტის მოქმედების ვადის ამოწურვამდე აბონენტს შეუძლია იგივე მოცულობის ახალი ინტერნეტ-პაკეტის გააქტიურება (საკმარისი დადებითი ბალანსის არსებობისას) ან ნებისმიერი მოცულობის განსხვავებული ინტერნეტ-პაკეტის არჩევა (ცვლილება) და გააქტიურება (საკმარისი დადებითი ბალანსის არსებობისას), მიუხედავად იმისა, გახარჯა თუ არა აბონენტმა უკვე გააქტიურებული ინტერნეტ-პაკეტის მოცულობა. ამისთვის აბონენტი ვალდებულია დადგინდეს ინტერნეტ-პაკეტის დადგენილი ინტერნეტ-პაკეტზე; განსხვავებული ინტერნეტ-პაკეტის მოთხოვნის დაფიქსირებით "ძირითადი პაკეტის" სტატუსი ავტომატურად მიენიჭება ახლადარჩეულ ინტერნეტ-პაკეტს, მიუხედავად იმისა, გააქტიურა თუ არა არჩეული პაკეტი.
- ძირითადი აქტიური ინტერნეტ-პაკეტის მოქმედების ვადის ამოწურვამდე განსხვავებული ინტერნეტ-პაკეტის არჩევას, ანგარიშზე არასაკმარისი დადებითი ბალანსის არსებობისას: ძირითადი აქტიური ინტერნეტ-პაკეტის მოქმედების ვადის ამოწურვამდე ანგარიშის შევსებისას განსხვავებული ინტერნეტ-პაკეტის გააქტიურება მოხდება მოთხოვნის ხელახალი დაფიქსირებით, ხოლო ძირითადი აქტიური ინტერნეტ-პაკეტის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ ანგარიშის შევსებისას - განსხვავებული ინტერნეტ-პაკეტის გააქტიურება მოხდება ავტომატურად;
- ძირითადი აქტიური ინტერნეტ-პაკეტის მოქმედების ვადის ამოწურვამდე იგივე მოცულობის ან განსხვავებული ინტერნეტ-პაკეტის გააქტიურებისას აქტიური ინტერნეტ-პაკეტის მოცულობას დაემატება ახალი და გამოყენების ვადა განახლებება ახალი/შეცვლილი ინტერნეტ-პაკეტის გააქტიურებიდან **30 (ოცდაათი) დღის** ვადით;
- ძირითადი აქტიური ინტერნეტ-პაკეტის მოქმედების ვადის ამოწურვამდე განსხვავებული ინტერნეტ-პაკეტის გააქტიურებისას აბონენტს დაემატებული მოცულობა მიეწოდება ახლადარჩეული (შეცვლილი) ინტერნეტ-პაკეტის სიჩქარის შესაბამისად;
- აქტიური ინტერნეტ-პაკეტის მოქმედების ვადის ამოწურვამდე, პაკეტში შემავალი მოცულობის ამოწურვის შემთხვევაში სიჩქარე მცირდება: Silver პაკეტის შემთხვევაში 18მ/წმდე / 256კბ/წმ-მდე (ჩამოტვირთვა/ატვირთვა), ხოლო Platinum პაკეტის შემთხვევაში - 28მ/წმდე / 256კბ/წმ-მდე (ჩამოტვირთვა/ატვირთვა). აღნიშნული სიჩქარით აბონენტს მიეწოდება ინტერნეტ-მომსახურება ინტერნეტ-პაკეტის ვადის ამოწურვამდე;
- აქტიური ინტერნეტ-პაკეტის მოქმედების პერიოდში, ამავე ინტერნეტ-პაკეტის მოქმედების ვადით, აბონენტს შეუძლია გააქტიუროს "დამატებითი 10 გბ" პაკეტი (შეუზღუდავი ოდენობით), "დამატებითი 10 გბ" პაკეტის მიწოდება მოხდება დამატებითი ინტერნეტ-პაკეტის გააქტიურების მომენტისთვის აქტიური ძირითადი ინტერნეტ-პაკეტის სიჩქარით;
- აბონენტს შეუძლია ნებისმიერი ინტერნეტ-პაკეტის აქტივაცია ნებისმიერ დღეს, ნომერზე: 91800 - SMS-ის გაგზავნით, ან ნომერზე: 2100100 დარეკვით, აბონენტს მიერ რეგისტრაციისას ან რეგისტრაციის შემდგომ, ყველაზე გვიან დაფიქსირებული მობილური საკომუნიკაციო ნომრისა.
- მომსახურების შეზღუდვა/შეწყვეტა:**
- Silk LTE 4G ინტერნეტ-მომსახურება იზღუდება წინასწარ შეძენილი ინტერნეტ-პაკეტის მოცულობის გახარჯვისთანავე/პაკეტის მოქმედების ვადის ამოწურვისთანავე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც Silk LTE 4G ინტერნეტ-მომსახურების ანგარიშზე ინტერნეტ-პაკეტის მოცულობის /მოქმედების ვადის ამოწურვის მომენტისთვის იარსებებს ახალი ძირითადი ინტერნეტ-პაკეტის მოქმედების ვადის ამოწურვის დადებითი ბალანსი, რაც გამოიწვევს ახალი ინტერნეტ-პაკეტის ავტომატურ გააქტიურებას.
- Silk LTE 4G ინტერნეტ-მომსახურება წყდება ბოლოს გააქტიურებული ინტერნეტ-პაკეტის მოქმედების ვადის ამოწურვიდან 180 (ასთობიერი) დღის გასვლის შემდეგ, თუ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში აბონენტი არ გააქტიურებს ახალ ინტერნეტ-პაკეტს (შეუცვლილმა არ მიიღება ძირითადი პაკეტის აქტივაციის პერიოდში გააქტიურებული "დამატებითი 10 გბ" პაკეტები);
- აბონენტს შეუძლია შეზღუდვის 180 (ასთობიერი) დღიანი ვადის გასვლის შემდგომ მოახდინოს Silk LTE 4G ინტერნეტ-მომსახურების ხელახალი აქტივაცია, ანგარიშზე არსებული დავალიანების სრულად დაფარვისა და ადვანსის ღირებულების გადახდის შემთხვევაში.
- აბონენტის ინიციატივით Silk LTE 4G ინტერნეტ-მომსახურების შეწყვეტა შესაძლებელია სერვის-ცენტრში მიმართვის გზით.
- საგარანტო პირობები და ვადები:**
- Silk LTE 4G მომსახურების საგარანტო ვადა** შეადგენს **10 (ათი) კალენდარულ დღეს**. აბონენტს აქვს უფლება აქტივაციიდან **10 (ათი) კალენდარულ** დღეში უარი თქვას მომსახურებაზე, მიუხედავად იმისა, რომ მომსახურება დაიწყო. საგარანტო ვადის განმავლობაში მომსახურებისა და მოწყობილობის სარგებლობის ღირებულება განისაზღვრება **10 (ათი)** ლარით. საგარანტო ვადაში მომსახურების გაუქმებისას აბონენტს სრულად უზრუნველდება აქტივაციისას გადახდილი თანხა **10 (ათი)** ლარის გამოკლებით;
- თუ აბონენტი მოწყობილობას შეიძენს სერვის-ცენტრში და შეძენიდან **10 (ათი) კალენდარული** დღის ვადაში დარეგისტრირდება ტექნიკური ჯგუფის მომსახურებაზე, საგარანტო ვადის ათვლა მოხდება ტექნიკური ჯგუფის მომსახურების დასრულების დღიდან.
- საგარანტო პირობა **(10 (ათი) კალენდარული** დღეში თანხის დაბრუნებით) მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საგარანტო ვადის განმავლობაში აბონენტი დააბრუნებს მოწყობილობას გამართულ (მუშა) მდგომარეობაში ან თუ დაბრუნებულ მოწყობილობას აღმოაჩნდება ქარხნული წუნი.
- LTE WiFi / USB მოწყობილობის საგარანტო ვადა** შეადგენს **180 (ასთობიერი) კალენდარულ დღეს**. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ საგარანტო პერიოდში აბონენტი წარმოადგენს გაუმართავ/დაზიანებულ LTE WiFi მოწყობილობას, რა დროსაც კომპანიის ტექნიკური სამსახურის მიერ მოწყობილობის შემოწმებისას ტექნიკური დასკვნის საფუძველზე დადგინდება, რომ დაზიანება/გაუმართაობის მიზეზი არის ქარხნული წუნი, კომპანიის ტექნიკური სერვის-ცენტრი უზრუნველყოფს LTE WiFi / USB მოწყობილობის შეცვლას; ასეთ შემთხვევაში LTE WiFi / USB მოწყობილობის შეცვლა მოხდება იმავე სახის ტექნიკური მხარდაჭერის LTE WiFi / USB მოწყობილობით.
- აღნიშნული ასთობიერი ვადიანი (180) საგარანტო ვადა მოწყობილობის შეძენისას ყოველ ჯერზე ხელახლა, ხოლო საგარანტო ვადაში ქარხნული წუნის გამო შეცვლისას - ნებისმიერი ჯერადობით შეცვლაზე მოქმედებს ერთიანი ასთობიერი ვადიანი (180) ვადა.

**Silk LTE 4G VOIP მომსახურების (გოთა ტელეფონი) სატარები ვეგმა**

ჩამონათვალი	ტარიფები ლარში
<b>ძირითადი ტარიფები</b>	
ერთჯერადი აქტივაციის ღირებულება	გათვალისწინებულია საბონენტო გადასახადში
სერვისის მიწოდების ყოველთვიური ფიქსირებული თანხა, რომელიც ერიცხება აბონენტს თვის განმავლობაში ყოველდღიურად, ამასთან, დადებითი ბალანსის არსებობისას ექრება ყოველდღიურად აღნიშნული თანხა არ მოივას ფასიანი ზარების ღირებულებას	5
პაკეტების საბონენტო მოიცავს სასაუბრო წუთების ღირებულებას კომპანიის შიდა ქსელში	უღირებო
<b>1 წუთი ზარის ღირებულება:</b>	
ადგილობრივი საქალაქთაშორისი ზარი სხვა ოპერატორების ფიქსირებული ქსელის მიმართულებით	0.06
ზარი სხვა ოპერატორების უსადენო ქსელის მიმართულებით	0.06
ზარი მობილური ოპერატორის ქსელის მიმართულებით (მაგთა, ჯეოსელი)	0.10*
ზარი მობილური ოპერატორის ქსელის მიმართულებით (ბილანი)	0.16*
ზარი მობილური ოპერატორის ქსელის მიმართულებით (გლობალ სელი)	0.16*
სხვა ქსელის საინფორმაციო სამსახური	0.06
ზარის წამოწება *	0.05
LTE WiFi მოწყობილობის (VOIP სატელეფონო მომსახურების ტექნიკური მხარდაჭერით) ღირებულება. (უკვე არსებულ Silk LTE 4G ინტერნეტ-მომსახურებაზე VOIP სატელეფონო მომსახურების დამატებისას, აღნიშნული მოწყობილობის შეყენება აბონენტის მიერ მოხდება იმ შემთხვევაში, თუკი მის მიერ არჩეულ Silk LTE 4G ინტერნეტ-მომსახურების რეგისტრაციისას შექმნილ იქნა LTE WiFi მოწყობილობა VOIP სატელეფონო მომსახურების ტექნიკური მხარდაჭერის გარეშე, ამ შემთხვევაში, Silk LTE 4G VOIP სატელეფონო მომსახურების მიღებისთვის, აბონენტი ვალდებულია შეიძინოს LTE WiFi მოწყობილობა VOIP სატელეფონო მომსახურების ტექნიკური მხარდაჭერით)	44

**Silk LTE 4G VOIP მომსახურების (ტელეფონი) ღირებულების გადახდის, მომსახურების შეზღუდვის, შეწყვეტის და აღდგენის პირობები:**

- **აქტივაციის ღირებულების გადახდა:** აქტივაციის თანხას მოიცავს სააბონენტო გადასახადი;
- **მომსახურების ღირებულების გადახდის პირობა:** წინასწარი გადახდა, ანგარიშზე ნებისმიერი ოდენობის თანხის შეტანით;
- აბონენტის მიერ Silk LTE 4G VOIP სატელეფონო და Silk LTE 4G ინტერნეტ-მომსახურების ერთდროულად სარგებლობის შემთხვევაში, თუკი ანგარიშზე არ იარსებებს აქტიური ინტერნეტ-პაკეტი, გადახდილი/ბალანსზე არსებული საკმარისი თანხის შემთხვევაში, პირველ რიგში მოხდება Silk LTE 4G ძირითადი ინტერნეტ-პაკეტის აქტივაცია;
- **მომსახურების აქტივაცია:**
- მომსახურების ანგარიშზე Silk LTE 4G ინტერნეტ-მომსახურების არსებობის შემთხვევაში აბონენტს შეუძლია Silk LTE 4G VOIP სატელეფონო მომსახურება გააქტიუროს დისტანციურად, ქოლ ცენტრის ნომერზე: 2100100 დარეკვით ან სერვისცენტრისადმი მიმართვით. გააქტიურების შემდეგ აბონენტი სმს-ის სახით მიიღებს გააქტიურების დასტურს;
- **მომსახურების შეზღუდვა/შეწყვეტა:**
- Silk LTE 4G VOIP სატელეფონო მომსახურები ცალმხრივად იზღუდება ბალანსზე თანხის ამოწურვისთანავე (გამავალი ზარი);
- ცალმხრივად შეზღუდვიდან 60 (სამოცი) დღის განმავლობაში ბალანსის შეუვსებლობისას Silk LTE 4G VOIP სატელეფონო მომსახურება იზღუდება ორმხრივად;
- ორმხრივად შეზღუდვიდან 120 (ასოცი) დღის განმავლობაში ბალანსის შეუვსებლობის შემთხვევაში Silk LTE 4G VOIP მომსახურება შეწყდება.
- აღნიშნული 120 (ასოცი) დღის ვადის განმავლობაში აბონენტს ენახება სატელეფონო ნომერი და უფლება აქვს აღიდგინოს Silk LTE 4G VOIP სატელეფონო მომსახურება აღდგენის ღირებულების გადახდის პირობით;
- აბონენტის ინიციატივით ან გადაუხდელობის საფუძველზე Silk LTE 4G უსადენო ინტერნეტის გაუქმების შემთხვევაში, ავტომატურად გაუქმდება Silk LTE 4G VOIP სატელეფონო მომსახურებაც;
- აბონენტის ინიციატივით Silk LTE 4G VOIP სატელეფონო მომსახურების შეწყვეტა შესაძლებელია სერვის-ცენტრში მიმართვის გზით;
- Silk LTE 4G VOIP სატელეფონო მომსახურების შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტს უფლება აქვს დაიტოვოს Silk LTE 4G უსადენო ინტერნეტ-მომსახურება; Silk LTE 4G VOIP სატელეფონო მომსახურების შეწყვეტის შემდგომ, ანგარიშზე უარყოფითი ბალანსის არსებობისას, აბონენტის მიერ ძირითადი ინტერნეტ-პაკეტის ღირებულების გადახდისას პაკეტი გააქტიურდება მხოლოდ უარყოფითი ბალანსის განულების შემთხვევაში;
- აბონენტის მიერ Silk LTE 4G VOIP სატელეფონო და Silk LTE 4G უსადენო ინტერნეტ-მომსახურებების ერთდროულად შეწყვეტის მოთხოვნის შემთხვევაში, აბონენტი ვალდებულია სრულად დაფაროს მომსახურების შეწყვეტის მომენტისთვის ანგარიშზე არსებული დავალიანება;